განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 306-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. კერძოდ კი, ქვეყანა ვალდებულიაშეთანხმების ძალაში შესვლიდან 2 წლის მანძილზე უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან:

1. 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ (Directive 2009/147/EC of the European Parliament and of the Council of 30 November 2009 on the conservation of wild birds);

2. დირექტივა **92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ** (Council Directive 92/43/EC of 21 May 1992 on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora as amended by Directive 97/62/EC, 2006/105/EC and Regulation (EC) No 1882/2003).

გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ დირექტივის შესაბამისად ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;
- ფრინველთა იმ სახეობების შეფასება, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს, ასევე ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობების შეფასება;
- ფრინველთა სახეობებისათვის დაცვის სპეციალური არეალების განსაზღვრა და დაწესება (მუხლი 4(1));
- რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღება (მუხლი 4(2)).
- რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღება (მუხლი 4(2)).
- დაცვის ზოგადი სისტემის შექმნა გარეულ ფრინველთა ყველა სახეობისთვის, რომელთაგანაც სანადირო ფრინველები სპეციალურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება და დატყვევების/მოკვლის გარკვეული ხერხების აკრძალვა (მუხლები 5, 6, 7 და 8 და მუხლი 9(1) და 9(2)).

ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ, დირექტივის შესაბამისად ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;
- ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებუს ინვენტარიზაცია აღნიშნული ტერიტორიების მითითება და მათი მართვისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა;

- მსგავსი ტერიტორიების კონსერვაციისათვის საჭირო ზომების შემუშავება;
- საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- სახეობების დაცვის მკაცრი რეჟიმის დაწესება იმ სახეობებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც ამ დირექტივის IV დანართშია მოცემულია, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს მიერ და შეესაბამება ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევრო საბჭოს კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ზოგიერთ სახეობაზე დაწესებულ დათქმებს (მუხლი 12);
- განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოების ზოგადი ინფორმირების უზრუნველსაყოფად მექანიზმის ჩამოყალიბება (მუხლი 22(c)).

სწორედ აღნიშნული დირექტივების ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ".

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" საქართველოს კანონპროექტის შემუშავების მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება საქართველოს მიერ რატიფიცირებულ შემდეგ მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

1. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ;
2. ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაპიტატების დაცვის კონვენცია;
3. კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ;
4. კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ;
5. კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ და მის ფარგლებში მიღებული შეთანხმებები:
    - შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ;
    - შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ;
    - შეთანხმება ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ.

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" კანონის პროექტი ასევე ქმნის სამართლებრივ საფუძველს „გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ განაწილებაზე" ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ნაგოიას ოქმის ეროვნულ დონეზე აღსრულებისთვის. დღეისათვის საქართველო არ არის აღნიშნული ოქმის მხარე, თუმცა მისი რატიფიცირება განსაზღვრულია „2014-2020 საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიით და მოქმედებათა გეგმით" (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის #343 დადგენილებით).

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) წარმოადგენს მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. საქართველოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას აქვს ფასდაუდებელი ღირებულება, მისი ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და ესთეტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ქვეყნის საერთო საზრუნავი და მისი განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

სახეობებისა და ჰაბიტატების მრავალფეროვნების, ენდემიზმის მაღალი დონისა და გლობალური მნიშვნელობის ეკოსისტემების გავრცელების გამო საქართველოს ტერიტორია შეტანილია ბუნების დაცვის პრიორიტეტული ადგილების ნუსხაში[1]. თუმცა ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების გამო, ჩვენი ქვეყანა, ამასთანავე, წარმოადგენს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების ნაწილს[2].

საქართველოს ბიომრავალფეროვნებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირება და დეგრადაცია, ბუნებრივი რესურსების ჭარბი გამოყენება, გარემოს დაბინძურება, უცხო სახეობების ინვაზია და კლიმატის ცვლილება.

დღეისათვის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია ფაუნის 130 და ფლორის 56 სახეობა, როგორც მოწყვლადი, გადაშენების საფრთხის ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს „წითელი ნუსხა“ არ განახლებულა დამტკიცების შემდგომ (2006 წელი და მასში არ არის შეტანილი საქართველოში მუდმივად ან დროებით გავრცელებული სახეობების ნაწილი, რომლებიც არიან გადაშენების საფრთხის წინაშე. უკანასკნელი კვლევების თანახმად, საფრთხის წინაშეა საქართველოს ენდემური მცენარეების დიდი ნაწილი, ასევე, სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსები - კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების ბუნებრივი პოპულაციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გავრცელებული სახეობების დიდი ნაწილის პოპულაციების მდგომარეობა დღემდე არ არის შეფასებული ან მონაცემები არ განახლებულა მრავალი წლის განმავლობაში.

საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ ფლორისა და ფაუნის ცალკეულ წარმომადგენლებს, არამედ მთლიანად ეკოსისტემებსა და ჰაბიტატებს, მათ შორის ტყის, შიდა წყლებისა და სემიარიდულ ეკოსისტემებს.

ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და ხანგრძლივვადიანი შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანების კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის.

2014 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020)“, რომელიც აყალიბებს თანმიმდევრულ პოლიტიკას და ეროვნულ პრიორიტეტებს, რათა 2030 წლისათვის მიღწეული იქნეს დოკუმენტით განსაზღვრული ეროვნული ხედვა - *„საქართველო იქნება ქვეყანა, სადაც მოქალაქეები ცხოვრობენ ბუნებასთან ჰარმონიაში, საყოველთაოდ აღიარებულია ბიომრავალფეროვნების ფასეულობები; ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია და გონივრული მოხმარება უზრუნველყოფს ეკოსისტემური პროცესების უწყვეტობას, ჯანსაღ გარემოსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის სარგებელს მთელი საზოგადოებისათვის*“.

დოკუმენტით განსაზღვრულია 21 ეროვნული მიზანი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არსებული საფრთხეების შემცირებისათვის. კანონის პროექტი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ ქმნის მყარ

---

[1] ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ გლობალურად განსაზღვრულია 35 პრიორიტეტული ადგილი ბუნების კონსერვაციისათვის, მათ შორის „შავი ზღვის დიდი აუზი“, რომელსაც მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორია, http://wwf.panda.org

[2] Conservation International-მიერ, გლობალურად იდენტიფიცირებულია 36 ცხელი წერტილი - ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები ბუნების დაცვისათვის, მათ შორის კავკასიას და ირან-ანატოლია, რომელთა ნაწილიც არის საქართველო, https://www.conservation.org/

სამართლებრივ საფუძვლებს დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის მთელი რიგი ქმედებების განხორციელებისათვის.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის გამომწვევ ერთერთ მიზეზად მიჩნეულია ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის რეგულირების სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.

დღეისათვის, ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ არის შესაბამისობაში ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის პრინციპებთან და სრულად არ მოიცავს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების ამ მიმართებით. შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს ეკოსისტემების, ჰაბიტატების, სახეობებებისა და გენეტიკური რესურსების დაცვას, შენარჩუნებას და მდგრად სარგებლობას. არსებულ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებს მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემებისა და გადაშენების პირას მყოფი სახეობების, ასევე, გენეტიკური რესურსების შენარჩუნება საჭიროებს შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების მიღებას და მათ აღსრულებას.

კანონპროექტის შემუშავების მიზანია სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ბიომრავალფეროვნების დაცვის, ხანგრძლივვადიანი შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის, საქართველოს მიერ ბუნების დაცვის სფეროში რატიფიცირებული მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის, ასევე, ქვეყნის პოლიტიკის ევროპის ბუნების დაცვის სტრატეგიებთან ჰარმონიზებისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიზანია შექმნას ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მყარი სამართლებრივი საფუძვლები, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად სახეობებისა და ჰაბიატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. კანონპროექტმა უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი (ლეგიტიმაციის საფუძვლები) ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მისაღებად და მათი გამართული ფუნქციონირებისათვის. საბოლო ჯამში, ეს უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კომპონენტებით ისეთი სახით და მოცულობით სარგებლობას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში არ იწვევს მათ შემცირებას და ხელს უწყობს მისი პოტენციალის შენარჩუნებას ახლანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

კანონპროექტის მიღების შემდგომ:

ა) გაუქმებული იქნება საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ, რომელთა რეგულირების სფეროებსაც მთლიანად ფარავს კანონპროექტი.

ბ) შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, რომლის საფუძველზეც მოხდება ნადირობისა და თევზჭერის რეგულირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 13 თავისგან და 113 მუხლისგან.

კანონპროექტის **პირველ თავში** მოცემულია კანონის რეგულირების სფერო და მიზანი, ტერმინთა განმარტებები, განსაზღვრულია ველური მცენარეების, სოკოებისა და გარეულ ცხოველთა სტატუსი, ჩამოყალიბებულია სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ძირითადი პრინციპები, განსაზღვრულია ბიომრავალფეროვნების დაცვის დაგეგმვის საფუძვლები.

კანონპროექტის რეგულირების სფეროს განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- სახეობების, ჰაბიტატების, ეკოსისტემების და ლანდშაფტების დაცვა;
- საერთაშორიო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნა და მართვა;
- ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით სარგებლობა და საერთაშორისო ვაჭირობა;
- გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება;
- ბიომრავალფეროვნებაზე საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

კანონპროექტი არ მოიცავს ნადირობისა და თევზჭერის საკითხებს, რომლებიც დარეგულირდება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. კანონპროექტი, ასევე, არ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების და შინაური ცხოველების დაცვის საკითხებს. ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, ასევე, აწესრიგებს საქართველოს ტყის კოდექსი, ხოლო დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე, აწესრიგებს საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანისათვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონპროექტის პირველი თავით ასევე დადგენილია მუნიციპალიტეტებისთვის გარეული ცხოველის გარემოდან ამოღების უფლების დელეგირების შესაძლებლობა, მოსახლეობასა და მათ ქონებაზე გარეული ცხოველების თავდასხმისას ან/და ასეთი საფრთხის აღმოფხვირს მიზნით.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მობინადრე გარეული ცხოველები, მათი განვითარების ნებისმიერ სტადიაზე, ასევე სქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსი არის სახელმწიფო საკუთრება.

გარეული ცხოველი , რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ამოღებულია ბუნებრივი საბინადრო გარემოდან, ან გამრავლებულია ტყვეობაში, ან შეძენილია, შეიძლება იყოს კერძო საკუთრების ობიექტი, თუ მის მფლობელს აქვს სათანადო პირობების მისი ზრდა-განვითარებისთვის, უსაფრთხოდ შენახვისა და მოვლისთვის.

რაც შეეხება ველურ მცენარეებსა და სოკოებს, ისინი წარმოადგენენ მიწის მესაკუთრის საკუთრებას, თუმცა კერძო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ველურ მცენარეზე / სოკოზე საკუთრება შეიძლება შეიზღუდოს ამ კანონით დადგენილ ფარგლებში. აღნიშნული ძირითადად ეხება გადაშენების პირას მყოფ ან საერთაშორისო / ორმხრივი ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებს.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგარდი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყანაში უნდა პერიოდულად გაახლდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის“ გლობალური სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით. სავალდებულოა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა მდგრადი გამოყენების საკითხების ინტეგრირება სახელმწიფო და მუნიციპალურ გეგმებსა და პროგრამებში.

კანონპროექტის **მეორე თავში** მოცემულია დებულებები სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის თაობაზე.

„ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის“ კონვენციის (ბერნის კონვენცია) და ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, საქართველოში შემუშავდება **მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების** (გარკვეული გეოგრაფიული, აბიოტური და ბიოტური მახასიათებლების მქონე ხმელეთის ან წყლის გარემო, რომელშიც არსებობს სახეობა მისი ბიოლოგიური ციკლის რომელიმე სტადიაზე) ნუსხები, რომელიც დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ. შესაბამისად, საქართველოში სამართლებრივად დაცული იქნება ის სახეობები და ჰაბიტატები, რომლებიც შეტანილი იქნება აღნიშნულ ნუსხებში.

რაც შეეხება ეროვნულ „წითელ ნუსხას“, ის გახდება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის ანალოგიური. ანუ „წითელი ნუსხაში“ აღწერილი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, დროებით ან მუდმივად მობინადრე ყველა სახეობის კონსერვაციული სტატუსი IUCN-ის კრიტერიუმებისა და კატეგორიების მიხედვით. ეროვნული წითელი ნუსხის წარმოების მიზანი იქნება სახეობების კონსერვაციული სტატუსის განსაზღვრა (რა მდგომარეობაშია ამა თუ იმ სახეობის პოპულაცია საქართველოში, გადაშენების პირას, მოწყვლადი, ნაკლებად საყურადღებო, არ არსებობს საკმარისი მონაცემები, და სხვა).

მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხაში სახეობების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების ერთერთი საფუძველი იქნება ამ სახეობის კონსერვაციული სტატუსი, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული წითელი ნუსხის მიხედვით.ყველა სახეობა, რომელთა პოპულაციის მდგომარეობა საქართველოში „წითელი ნუსხის“ მიხედვით დადგინდება რომ არის კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი, გადაშენების პირას მყოფი ან მოწყვლადი, შეტანილი უნდა იქნეს მკაცრად დაცული ან დაცული სახეობების ნუსხებში.

მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხების შედგენისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით მკაცრად

დაცული და დაცული სახეობები და დაცული ჰაბიტატები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში, საქართველოს ტერიტორიაზე ამ სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის შესაბამისად.

დაცული ჰაბიტატების ნუსხაში შესაძლებელია ასევე შეტანილი იქნეს ჰაბიტატები, რომელთა დაცვა მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე და რომლები არ არიან შეტანილი ბერნის კონვენციის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალში ან კონსერვაციისათვის სპეციალური ადგილების ჩამონათვალში (ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 92/43/EEC).

ზემოთ აღნიშნული ნუსხების შემუშავების მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქმნის საქართველოს წითელი ნუსხის კომისიას.

საერთო სარგებლობა გულისხმობს ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების გამოყენებას გარემოდან ამოღების გარეშე ან გარემოდან ამოღებით მოქალაქეთა პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. საერთო სარგებლობა არ ვრცელდება:

ა) „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე;

ბ) გარეულ ფრინველთა ყველა სახეობაზე;

გ) მერქნიან მცენარეებზე (გარდა არამერქნული რესურსები, მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და ფიჩხი);

დ) CITES და ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებზე;

ე) ნადირობისა და თევზჭერის სახეობების ინდივიდებზე (გარდა შავ ზღვაში სანაპირო, რეკრეაციული, სამოყვარულო და სპორტული მიზნით, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით, პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერისა);

ვ) სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთზე იმ მერქნიანი სახეობების მცენარეების, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“, გარემოდან ამოღების უფლებაზე, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსსილების ფარგლებში .

საერთო სარგებლობის უფლება არ ვრცელდება კერძო საკუთღების მიწის ნაკვეთზე ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების გამოყენებაზე.

ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეულ ცხოველებით საერთო სარგებლობა უფასოა და არ საჭიროებს ნებართვას/ლიცენზიას.

კანონპროექტით წესრიგდება იმ გარეული ცხოველების (გარდა ნადირობისა და თევზჭერის სახეობებისა) გარემოდან ამოღება ხელოვნური პირობებში მოშენების ან/და კომერციული სარგებლობის მიზნით, რომლებიც არ არიან შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“. აღნიშნულ შემთხვევაში კანონპროექტით მოითხოვება სამინისტროსთვის წინასწარი შეტყობინება და კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის გადახდა. გარდა ამისა დაცული უნდა იქნეს „გარეულ ცხოველთა, ველური მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამორებისა და სარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

კანონპროექტით ასევე წესრიგდება საქართველოს ტყის გარეთ იმ ველური მცენარეების (გარდა მერქნიანი მცენარეებისა) და სოკოების გარემოდა ამოღება ხელოვნურ პირობებში

მოშენების ან/და კომერციული სარგებლობის მიზნით, რომლებიც არ არიან შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“. ამ შემთხვევაშიც მოითხოვება სამინისტროსთვის წინასწარი შეტყობინება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის გადახდა. საქართველოს ტყის ტერიტორიაზე არამერქნული რესურსებით, მერქნიანი მცენარეები პროდუქტებით და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის წესებს ადგენს „საქართველოს ტყის კოდექსი“.

ევროკავშირის დირექტივების ანალოგიურად, კანონპროექტით დგინდება სამართლებრივი მოთხოვნები (ა) ფრინველთა სახეობების, (ბ) გარეულ ცხოველთა სხვა სახეობების (მათ შორის ძუძუმწოვრების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, თევზების, უხერხემლოების) და (გ) მცენარეთა და სოკოების სახეობების დაცვის და შენარჩუნებისთვის.

ზოგადად, ფრინველები მიეკუთვნება გარეულ ცხოველებს, თუმცა ამ კანონის მიზნებისთვის მათი გამოყოფა და ცალკე მოწესრიგება გამოწვეულია ფრინველთა დაცვის განსხვავებული სტატუსით, რაც შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივასთან „გარეულ ფრინველთა კონსერვაციის შესახებ“ (2009/147/EC), რომლის თანახმადაც დირექტივის მოთხოვნები ვრცელდება ფრინველთა ყველა სახეობაზე (დირექტივა 2009/147/EC მუხლი 1), ხოლო დირექტივის მე-5 მუხლის თანახმად, იკრძალება ყველა სახეობის ფრინველის მოკვლა, დატყვევება, მათი ბუდეების კვერცხების განადგურება, მათი შეწუხება, ფრინველთა იმ სახეობების ყოლა, რომლებზეც ნადირობა ან რომელთა დატყვევებაც აკრძალულია. ევროკავშირის დირექტივის პირველ დანართში მითითებულია ფრინველთა სახეობები, რომელთა ჰაბიტატების მიმართებით უნდა განხორციელდეს სპეციალური კონსერვაციული ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი გადარჩენა და გამრავლება მათ არეალში. დირექტივის პირველ დანართში მითითებული სახეობები, რომლებიც გვხვდებიან საქართველოში, სავარაუდოდ, შეტანილი იქნებიან მკაცრად დაცული ფრინველების ნუსხაში, ბერნის კონვენციის რატიფიცირებისას საქართველოს დათქმებისა და საქართველოში ამ ფრინველების პოპულაციების მდგომარეობის გათვალისწინებით.

„ველურ ფრინველთა კონსერვაციის შესახებ“ დირექტივა **2009/147/EC**-ის შესაბამისად და ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების თანახმად, უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს <u>გარეულ ფრინველთა ყველა სახეობის</u> დაცვას, მათი მოკვლის, დატყვევების, მათი ბუდეებისა და კვერცხების განზრახული დაზიანების/განადგურების აკრძალვის გზით. აღნიშნული არ შეეხება იმ სახეობებს, რომლებზეც ნადირობა კანონმდებლობით არის დაშვებული, ან მონადირე დამჭერ ფრინველებს, რომელთა დატყვევებაც კანონმდებლობით იქნება ნებადართული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრინველთა ყველა სახეობა შეტანილი უნდა იქნეს მკაცრად დაცული ან დაცული სახეობების ნუსხაში. კანონპროექტით იკრძალება გარეული ფრინველების გაზრახ მოკვლა ან დატყვევება, მათი ბუდეებისა და კვერცხი განზრახ განადგურება/დაზიანება, კვერცხის შეგროვება და შენახვა, ბუნეების განადგურება მაშინა კი, როდესაც ის ცარიელია ან მიტოვებულია; გარეულ ფრინველთა განზრახ შეწუხება, განსაკუთრებით მათი გამრავლების პერიოდში; საერთო სარგებლობა, კანონმდებლობით განისაზღვრება ფრინველთა სახეობები, რომლებზეც ნადირობა იქნება ნებადართული ან რომელთა დატყვევებაც იქნება ნებდართული, მაგრამ დაუშვებელი იქნება მკაცრად დაცულ სახეობას მიენიჭოს სანადირო სახეობის ან მონადირე დამჭერი ფრინველის (ბაზის) სტატუსი.

ფრინველების გარდა სხვა გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრები, რეპტილიები, ამფიბიები, თევზები, უხერხემლოები) დაცვა წესრიგდება კანონპროექტის მე-14 და მე-18 მუხლებით. მე-14 მუხლის თანახმად, იკრძალება გარეული ცხოველების მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მოკვლა, დატყვევება, განზრახ შეწუხება, განსაკუთრებით ზამთრის ძილის ან მიგრაციის პერიოდში, კვერცხის/ქვირითის განზრახ განადგურება/დაზიანება, შეგროვება და შენახვა, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, დასარწყულებელი ადგილების განადგურება, მათ შორის მიგრირებადი სახეობების შემთხვევაში მთლიანი სამიგრაციო გზის გასწვრივ. გარეულ ცხოველთა სანადირო სახეობები, ასევე, თევზჭერის ობიექტები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. გარეულ ცხოველთა მკაცრად დაცული სახეობა არ შეიძლება იყოს ნადირობის ან თევზჭერის ობიექტი. იკრძალება თევზის დაცული სახეობების სარეწაო მიზნით მოპოვება.

კანონპროექტის თანახმად იკრძალება მკაცრად დაცული ველური მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამოღება და მათი ნაწილების მოჭრა და დაზიანება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, ხოლო დაცული ველური მცენარეებისა და სოკოების და მათი ნაწილების გარემოდან ამოღება დასაშვებია ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სამართლებრივი საფუძვლებით.

 კანონპროექტით განსაზღვრულია მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ფრინველების, გარეული ცხოველების, მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამოღების საგამონაკლისო საფუძვლები. დაშვებულია მკაცრად დაცული სახეობის ფრინველებისა და სხვა გარეული ცხოველების ინდივიდის ამოღება გარემოდან კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახეობის გადარჩენის და პოპულაციის აღდგენის მიზნით (მათ შორის ზოოლოგიური კოლექციებში ex situ კონსრევაციისათვის, გარდა პირადი ზოოლოგიური კოლექციებისა), შემდგომი სარგებლობისთვის ტყვეობაში გამრავლების მიზნით თუ ეს გათვალისწინებულია კონსრევაციის გეგმით,მოსავალზე, შინაურ პირუტყვზე, ტყეზე, თევზჭერაზე/თევზის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე, ინფრასტრუქტურაზე და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების მიზნებისთვის, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით, ცალკეული დაზიანებული ინდივიდს გადარჩენის მიზნით, სანიტარული (დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების) მიზნით. კანონპროექტის თანახმად, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, ფრინველთა და გარეულ ცხოველთა დაცული სახეობების გარემოდან ამოღება დაიშვება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, დასაშვებია ასევე სანადირო სახეობების მიკუთვნებული ფრინველთა სახეობების გარემოდან ამოღება და ბაზებს მიკუთვნებული ფრინვლეთა სახეობების დატყვევება ბაზიერობის მიზნებისთვის, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სახეობებზე ნადირობა და თევზჭერა. კანონი. საგამონაკლისო შემთხვევებში მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ფრინველებისა და გარეული ცხოველების გარემოდან ამოღებაზე გადაწყვეტილებას იღებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

მკაცრად დაცული მცენარეების ამოღება გარემოდან დაშვებულია, მაგალითად, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, ასევე, სანერგე ან/და პლანტაციური მეურნეობის ფარგლებში, ცალკეული სახეობის კონსრევაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გასამრავლებლად/აღსადგენად და ბუნებრივ პირობებში გასაშენებლად და სამეურნეო

მიზნით ხელოვნურ პირობებში გასაშენებლად (მხოლოდ მცენარეთა თესლების, კალმების და სხვა გასამრავლებელი მასალის) ბოტანიკურ ბაღებში კონსერვაციის მიზნით, და სამეცნიერო მიზნებისთვის, შენობა-ნაგებობების, აგრეთვე, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სანიტარული მიზნებისთვის, მცენარეთა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების გარემოდან ამოღება შეიძლება დაშვებული იქნეს საქმიანობების განხორციელების დროს.

თუ საქმიანობა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების გარემოდან ამოღების აუცილებლობის დასაბუთებას და სახეობების ინდივიდების აღრიცხვის ანგარიშს (ჩამონათვალი, ოდენობები, დასკვნა მდგომარეობის შესახებ). ამ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების უფლება ენიჭება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით. ამ კანონის მე-10 თავით გათვალისწინებული საკომპენსაციო ღონისძიებები დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების შემთხვევაში, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების დასაშვებობის საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების პირობები და საკომპენსაციო ღონისძიებები უნდა დადგინდეს ამ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც არ ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლას, ველურ მცენარეთა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მერქნიანი მცენარეების გარემოდან ამოღების დასაშვებობა დგინდება სამინისტროს ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ერთი ფანჯრის პრინციპით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც არ ექვემდებარება ნებართვის გაცემას, მკაცრად დაცული და დაცულის სახეობების მცენარეების გარემოდან ამოღების გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კანონპროექტის მესამე თავით ასევე წესრიგდება მცენარეთ დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას გარეულ ცხოველთა დაცვის საკითხი, იკრძალება გარეულ ცხოველთა უცხო და ველურ მცენარეთა უცხო ინვაზიური სახეობების ინტროდუქცია, ასევე წესრიგდება ველური მცენარეების პლანტაციური მეურნეობისა და გარეული ცხოველების ტყვეობაში გამრავლების საკითხები.

ამავე თავში მოცემულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებული დებულებები. ასევე, დებულებები გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ინტროდუქციის, რეინტროდუეციისა და ჰიბრიდიზაციის შესახებ. არსებული კანონმდებლობის მსგავსად, კვლავ აკრძალული იქნება ცხოველთა უცხო სახეობების ინტროდუქცია (გარდა იმ სახოებებისა, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) და ცხოველთა თვითნებური რეინტროდუქცია, ასევე იკრძალება ჰიბრიდული ფორმების ბუნებაში გაშვება. კანონქპროექტით იკრძალება საქართველოს მცენარეთა სამყაროსთვუს უცხო, ინვაზიური სახეობების ინდივიდების ინტორდუქცია და გაშენება ბუნებრივ გარემოში, მათ შორის ტყეში და დაცულ ტერიტორიებზე.

მკაცრად დაცული და დაცული სახეობების დაცვის, შენარჩუნების, აღდგენისა და მათი საბინადრო გარემოს გაუმჯობესბეის მიზნით, კანონპროექტის თანახმად მოითხოვება ცალკეული სახეობისა ან სახეობატა ჯგუფების კონსერვაციის სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც დამტკიცებული უნდა იქნეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ.

კანონპროექტით განსაზღვრულია საქართველოს წითელი ნუსხის კომისიი კომისიის შექმნის წესი.

კანონპროექტით წესრიგდება ველური მცენარეების პლანტაციური მეურნეობების მოწყობისა და გარეულ ცხოველთა ტყვეობაში გამრავლებისთვიუს საშენი მეურნეობის მოწყობის საკითხები.

კანონპროექტით დადგენილია მიწის მესაკუთრეთა ვალდებულება ითმინოს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებებით გამოწვეული შეზღუდვები.

კანონპროექტის **მესამე თავი** ქმნის სამართლებრივ საფუძველს საქართველოში **ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიების** დაარსებისა და მართვისათვის, რაც არის ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაპიტატების დაცვის კონვენციით (ბერნის კონვენცია) და ასოცირების შესახებ შეთანხმებით ბუნების დაცვის სფეროში განსაზღვრული ვალდებულება. ზურმუხტის ქსელი შედგება სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისაგან, სადაც გავრცელებულია ის სახეობები და ჰაბიტატები, რომელთა ხანრძლივვადიანი გადარჩენა წარმოადგენს საერთო ევროპულ ინტერესს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, მისი ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში საქართველომ უნდა დაასრულოს ზურმუხტის ტერიტორიების ინვენტარიზაცია, დეზიგნაცია და შეადგინოს მართვის გეგმები პრიორიტეტების მიხედვით, 5 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ამ ტერიტორიების კონსერვაციისათვის ღონისძიებებს გატარება, ხოლო 6 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს შესაბამისი ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების მონიტორინგის სისტემა.

დღეისათვის იდენტიფიცირებულია ზურმუხტის 66 ტერიტორია. მათგან 46 ტერიტორია უკვე ჩართულია ზურმუხტის ქსელში, 4 ტერიტორია წარმოადგენს კანდიდატს ზურმუხტის ქსელში ჩართვისათვის, ხოლო 16 ტერიტორია არის შეთავაზებული ტერიტორია.

კანონპროექტით დადგენილია ასეთი ტერიტორიების იდენტიფიცირების, ზურმუხტის ქსელში მათი ჩართვის მიზნით ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაპიტატების დაცვის კონვენციის სამდივნოსთვის წარდგენის პროცედურა, დაცვისა და მონიტორინგის საფუძვლები. კანონპროექტით განსაზღვრული ზურმუხტის ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმები, საკუთრების უფლება, ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ასევე, ზურმუხტის ტერიტორიაზე საქმიანობის ზემოქმედების შეფასების პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები, თუ საქმიანობა მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე.

ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნების მიზანი გათვალისწინებული უნდა იქნას ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე დაგეგმვის პროცესში.

ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორია, შესაძლებელია, ამასთანავე წარმოადგენდეს დაცულ ტერიტორიას, რომელიც შექმნილია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით. დღეისათვის პრაქტიკულად, საქართველოში არსებული თითქმის ყველა დაცული ტერიტორია ჩართულია ზურმუხტის ქსელში.

ზურმუხტის ქსელი ასევე მოიცავს სპეციალურ დაცულ ტერიტორიების ფრინველთათვის, რომელთა იდენტიფიცირების და დაცვის ვალდებულება, ასევე, განსაზღვრულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

ზურმუხტის ტერიტორია შესაძლოა იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში. თუ ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მინიჭებით ზიანი ადგება კერძო მესაკუთრეს, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. თუ ტერიტორიის გამოყენება შეუძლებელი ხდება მესაკუთრის მიერ, მესაკუთრეს შეუძლია სახელმწიფოსგან მოითხოვოს მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება ან გამოსყიდვა სამართლიანი ანაზღაურების პირობის დაცვით.

ზურმუხტის ტერიტორიების მართვის კოორდინაციას და კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ზურმუხტის ტერიტორიების მართვა ხორციელდება მართვის გეგმების საფუძველზე. თუ ზურმუხტის ტერიტორია იმავდროულად არის დაცული ტერიტორია, რომელიც შექმნილია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის საფუძველზე, ის იმართება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, თუ ზურმუხტის ტერიტორია მდებარეობს ტყის ფონდში, ის იმართება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორიას მართავს მუნიციპალიტეტი, ხოლო მართვის გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. კერძო საკუთრებაში არსებული ზურმუხტის ტერიტორიისთვის მართვის გეგმას შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს მთავრობა.

ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ზურმუხტის ტერიტორიის მართვას, ან მისთვის პირდაპირ საჭიროებას არ წარმოადგენს, მაგრამ შესაძლოა ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან ან პროექტებთან კომბინაციაში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს მასზე, ექვემდებარება <u>შესაბამის შეფასებას (appropriate assessment),</u> რომლის მიზანია დადგინდეს საქმიანობის განხორციელება ახდენს თუ არა და რა ზეგავლენას ახდენს ზურმუხტის ქსელში ჩართულ

ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ჰაბიტატზე და/ან სახეობაზე, რომელთა კონსერვაციის მიზნით ტერიტორია ჩართული იქნა ზურმუხტის ქსელში.

ასოცირების ხელშკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებსი შესაბამისად, კანონპროექტებით წესრიგდება იმ საქმიანობების განხორციელება, რომელთაც შესაძლოა ექნეთ მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებში დაცული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციულ სტატუსზე. იმ შემთხვევაში თუ ეს საქმიანობა მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის საქმიანობას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის ფარგლებში უნდა დადგინდეს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებისშეფასების საჭიროება. თუ კი სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ამ შეფასების შედეგები აისახება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში. თუმცა დაინტერესებულ პირს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება შეუძლია წარმოადგინოს სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე ან სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში და არ მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველ და მეორე დანართებში მითითებულ საქმიანობებს და უშუალოდ არ უკავშირდება ზურმუხტის ტერიტორიის მართვას, ან მისთვის პირდაპირ საჭიროებას არ წარმოადგენს, ექვემდებარება საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ან ელექტროენერგიის სფეროში საქმიანობა, რომელიც არ ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე, მაგრამ არ გამოირიცხება მისი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, ექვემდებარება საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას. ამ შემთხვევაში, ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ორგანო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და განმცხადებელს უდგენს ვალდებულებას წარმოადგინოს ზურმუხტის ტერიტორიის შეფასების ანგარიში. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზეგავლენის შეფასების საფუძველზე საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო ორეტაპიანი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. ადმინისტრაციული წარმოების პირველ ეტაპზე მიიღება დასკვნა, ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების არარსებობის ან ზემოქმედების შეფასებაზე დაქვემდებარების შესახებ. კანონპროექტით განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად და ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს დაინტერესებული მხარის მიერ. იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა დაექვემდებარა ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედებსი შეფასებას, სამინისტრო საქმიანობის განხორციელებას შეითანხმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების შეფასების საფუძველზე დადგინდება, რომ საქმიანობის განხორციელება არ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენა ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებსა და სახეობებზე. იმ საქმიანობის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც შესაძლოა ექნეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ისეთი საქმიანობების შემთხვევაში, რომელთაც შესაძლოა ექნეთ მნიშნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ზურმუხტის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი განხორციელების მიმართ არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესი და არ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილება ან ის შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული, სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს

ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების საფუძველზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განისაზღვრება საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება, რამაც უნდა უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნება.

კანონპროექტის **მეოთხე თავი** აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიის – ბიოსფერული რეზერვატის დაარსების და მართვის საკითხებს. ბიოსფერული რეზერვატი წარმოადგენს სახმელეთო ან/და სანაპირო/საზღვაო ეკოსისტემების ტერიტორიას, რომელიც ჩართულია იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ ფარგლებში შექმნილი ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში და რომლის დანიშნულებაა ადამიანსა და ბიოსფეროს შორის ეკოლოგიურად, ეკონომიკურად და სოციალურად დაბალანსებული ურთიერთობის ხელშეწყობა და დემონსტრირება. ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიწათსარგებლობის შესაბამისი დაგეგმვითა და ზონირებით, რომელიც მოიცავს ბირთვის სტატუსის მქონე ზონას, მკაცრად განსაზღვრულ ბუფერულ ზონას და გარდამავალ ტერიტორიას. კანონპროექტის ამ თავში განსაზღვრულია ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახდენს პოტენციური ტერიტორიების იდენტიფიცირებას, კანდიდატი ტერიტორიის შერჩევას და მის ნომინირებას ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში ჩართვის მიზნით. შერჩეული ტერიტორიის იუნესკოს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ აღიარება არის საქართველოს მთავრობის მიერ ამ ტერიტორიისთვის ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

ბიოსფერული რეზერვატის მართვა ხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ, რომელსაც აფუძნებენ შესაბამისი მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები.

კანონპროექტის ადგენს სამართლებრივ საფუძველს საქართველოს „ადამიანი და ბიოსფეროს“ ეროვნული კომიტეტის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის.

კანონპროექტის **მეხუთე თავი** ადგენს ტერიტორიისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსის მინიჭების სამართლებრივ საფუძველს, „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ კონვენციით (რამსარის კონვენცია) განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც მოიცავს მდინარეებს, ტბებს, ჭაობებს, წყალსაცავებს, არხების და ტბორების წყლებს, მდინარეთა ზღვის შესართავებთან ახლომდებარე ზედაპირულ წყლებს, რომლებიც ნაწილობრივ დამლაშებულია სანაპირო წყლების ზემოქმედების გამო, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, არსებითად არიან გაჯერებული მტკნარი წყლებით, ნაპირის ხაზიდან ზღვის მიმართულებით ერთი საზღვაო მილის მანძილზე არსებულ წყლებს, რომლებიც, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულია და ჩართულია „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციის“ (რამსარის კონვენცია) ფარგლებში შექმნილი საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ქსელის განვითარების მიზანია იმ ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვა, რომელთაც, მათი ეკოლოგიური და ჰიდროლოგიური ფუნქციების გამო, გააჩნიათ მნიშვნელობა გლობალური

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ადამიანთა კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის. კანონპროექტის თანახმად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამზადებს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს რამსარის კონვენციის სამდივნოს. შერჩეული ტერიტორიას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც მოხდება მისი ჩართვა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხაში. საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში ჩართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის. ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვა ხდება მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ტერიტორიის მართის ორგანო და ამტკიცებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვას, ექვემდებარება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას. დაუშვებელია საქმიანობის განხორციელება, თუ შეფასების საფუძველზე დადგინდება, რომ განზრახული საქმიანობა იწვევს მნიშვნელოვან ზეგავლენას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე. ასეთი საქმიანობის განხორციელება დაიშვება მხოლოდ აუცილებელი სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში. კანონპროექტით დადგენილია საკითხები, რომელთა განხილვისა და გათვალისიწნების საფუძველზე უნდა განისაზღვროს დაგეგმილის საქმიანობის მიმართ აუცილებელი სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობდა და მისი პრიორიტეტულობა, რაც შესაბამისად ეფუძნება რამსარის კონვენციასა და მის რეზოლუციას. თუ საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს, სკოპინგის პროცედურის ფარგელბში დგინდება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება და ასეთი შეფასების ანგარში თან უნდა ახლდეს გზშ-ს ანგარიშს. მასში მოცემული უნდა იქნეს აუცილებელი სახელმწიფოებრივი ინტერესის დასაბუთება და ადეკვატური კომპენსირების განხორციელების შესაძლებლობა შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრით. თუ საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგს, სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოირიცხება საქმიანობის საერთაშორიოს მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შესაძლებლობა და საქმიანობა სკრინინგის პროცედურის შედეგად არ დაექვემდებარება გზშ-ს, ხორციელდება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე. თუ საქმიანობა არ ექვემდებარება სკრინინგს და გზშ-ს, მაგრამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე, ასეთი შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარის მიერ და სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელების დასაშვებობაზე. ამ შემთხვევაში ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი სამინისტროს გადაწყვეტილება. სამინისტროს გადაწყვეტილებას იღებს რამსარის კონვენციის სამდივნოსთან კონსულტაციებით. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიში უნდა მოიცავდეს მიყენებული ზიანის კომპენსირების განსაზღვრას. კანონპროექტით განსაზღვრულია საკითხები, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე მიყენებული ზიანის კომპენსირების განსაზღვრა.

მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის შექმნის საკითხი წესრიგდება კანონპროექტის **მეექვსე თავით,** რომელიც იქმნება უნივერსალური მნიშვნელობის ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ტერიტორიებისა და წარმონაქმნების დასაცავად საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერული კვლევის, საგანმანათლებლო და მონიტორინგული საქმიანობისათვის. ის მოიცავს ტერიტორიებს, რომელზეც წარმოდგენილია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი ან ბუნებრივ-კულტურული ფასეულობები. ტერიტორია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენისათვის, შეირჩევა კანონპროექტით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე (რომელიც შეესაბამება იუნესკოს კრიტერიუმებს), სისტემატური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს, პოტენციური ტერიტორიების ინვენტარიზაციას და ტერიტორიების შერჩევას ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. თუ კი ინვენტარიზაცია არ არის დასრულებული, ეს არ უნდა გახდეს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიის დამტკიცებისათვის ხელისშემშლელი გარემოება. სამინისტრო ამზადებს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის კომიტეტს. შერჩეულ ტერიტორიას მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც მოხდება მისი ჩართვა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ჩართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიის ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის.

კანონპროექტის **მეშვიდე თავი** განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიის – იუნესკოს გლობალური გეოპარკის (შემდგომში - გეოპარკი) დაარსების და მართვის საკითხებს.

გეოპარკი არის ტერიტორია, რომელშიც საერთაშორისო გეოლოგიური მნიშვნელობის გეოტოპები და ლანდშაფტები იმართება დაცვის, განათლების, კვლევისა და მდგრადი განვითარების ჰოლისტიკური კონცეფციის მიხედვით. გეოპარკი იქმნება გეოლოგიურად მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის საერთაშორისო მასშტაბით შენარჩუნების მიზნით.
კანონპროქტის ამ თავში მოცემულია გეოპარკის შერჩევის კრიტერიუმები, გეოპარკის დამტკიცების პროცედურა და გეოპარკის მართვის საკითხები.

კანონპროექტის **მერვე თავი** განსაზღვრავს „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის და ზღვიდან ინტროდუქციის, ასევე ასეთი ნიმუშებით საქართველოს ტერიტორიაზე ვაჭრობის პირობებს და საერთაშორისო ვაჭრობისათვის გამონაკლის შემთხვევებს. კანონპროექტი ადგენს კონვენციის დანერგვაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს და მის უფლება-მოვალეობებს. დადგენილია სამეცნიერო საბჭოს შექმნის საფუძველი და განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილებები. კანონპროექტი ადგენს ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვების და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის წესებსა და პირობებს, ნებართვის მფლობელების ვალდებულებებს და სანებართვო მოწმობის გამოყენების წესს. განისაზღვრება ნებართვის რეტროსპექტულად გაცემის პირობები. კანონპროექტი ასევე არეგულირებს კონვენციის

მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. ს საკითხებს. განისაზღვრება კონფისკირებული ნიმუშების განთავსების პირობები.

ამჟამად, CITES-ის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების უმეტესობა დარეგულირებულია საქართველოს კანონით საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების სამართლებრივი ნორმების შეტანა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონის პროექტში განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული კანონის მიღების შემდგომ უქმდება საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ. გარდა ამისა, წარმოდგენილ კანონპროექტში ასახულია კონვენციის მხარეთა კონფერენციის მე-18 შეხვედრის შედეგად კონვენციის რეზოლუციებში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ კონვენციის II დანართში შეტანილ მცენარეთა კომერციული მიზნით მოპოვებასთან დაკავშირებით და კანონაღსრულების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

კანონპროექტის **მეცხრე თავი** აწესრიგებს გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ განაწილებას. აღნიშნული საკითხი დღეისათვის არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა წარმოადგენს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. 2010 წელს კონვენციის ფარგლებში მიღებულ იქნა „გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარი და სამართლიანი განაწილების“ ნაგოიას ოქმი. აღნიშნული ოქმი ძალაში შევიდა 2014 წელს. კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ აღიარებს ქვეყნების სუვერენულ უფლებებს მათ ტერიტორიაზე არსებულ გენეტიკურ რესურსებზე. ნაგოიას ოქმი ადგენს გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების პირობებს.

საქართველოს მიერ ნაგოიას ოქმი არ არის რატიფიცირებული, ვინაიდან არ არის მიღებული მისი აღსრულებისათვის საჭირო კანონმდებლობა. თუმცა, ნაგოიას ოქმის რატიფიცირება განსაკუთრებით მნიშნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც გავრცელებულია კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობები, ენდემური მცენარეები, რომელთაც აქვთ სამკურნალო თვისებები, ასევე ტრადიციული ფერმენტირებული პროდუქტების მიკროფლორის ფორმირებაში მონაწილე სოკოებისა და მიკროორგანიზმების მდიდარი გენეტიკური რესურსები, მათი დაცვისა და მათი გამოყენებით წარმოქნილი სარგებლის განაწილების მიზნით.

გენეტიკური რესურსი არის მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან სხვა წარმოშობის ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობითობის ფუნქციურ ერთეულებს და რომელთაც აქვთ ფაქტობრივი ან პოტენციური ღირებულება, მაგალითად, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ფარმაცევტული, კოსმეტიკური პროდუქტების შექმნა ან ახალი სასოფლო-სამეურნეო ჯიშების გამოყვანა ან ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება. გენეტიკური რესურსების გამოყენება ნიშნავს მათ სამეცნიერო კვლევას და/ან შემდგომ განვითარებას კომერციული სარგებლის მიღების მიზნით.

ნაგოიას ოქმის რატიფიცირება არის საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ერთერთი ღონისძიება.

ნაგოიას ოქმის დებულებების გათვალისწინებით, კანონპროექტის მერვე თავი განსაზღვრავს გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის პირობებს საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, უცხო ქვეყნის მკვლევარი, რომელსაც სურს მოიპოვოს ან გამოიყენოს გენეტიკური რესურსი შემდგომი კომერციული ან არაკომერციული კვლევისათვის, ვალდებულია მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის მისაღებად, ამასთან უნდა დაიდოს ხელშეკრულება გენეტიკური რესურსის/ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მირებული სარგებლის სამართლიანი განაწილების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრება გენეტიკური რესურსის ხელმისაწვდომობის პირობები, ნებადართული კვლევა, მიღებული ცოდნის გადაცემის პირობები, სარგებლის განაწილების პირობები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, მესამე პირზე გენეტიკური რესურსების და კვლევის შედეგების გადაცემის პირობები. გენეტიკური რესურსის გამოყენების მიზნის ცვლილების შემთხვევაში უნდა მოხდეს სათანადო ცვლილებების შეტანა შესაბამის ნებართვაში.

გენეტიკურ რესურსებთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის შედეგად მიღებული სარგებელი ასევე სამართლიანად უნდა განაწილდეს ასეთი ცოდნის მატარებელი პირების, მათ შორის, ქალების განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით და უნდა განისაზღვროს მათი სარგებელზე ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

გენეტიკური რესურსის გამოყენებით მიღებული სარგებლები განსაზღვრულია ნაგოიას ოქმის დანართით და შესაძლოა იყოს როგორც მონეტარული (მაგალითად, გადასახადები ნებართვისთვის, გადასახადები კომერციალიზაციის შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, ერთობლივი საწარმოები, ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი უფლებების ერთობლივი ფლობა), ასევე არამონეტარული, როგორიცაა სამეცნიერო კვლევების შედეგებით ერთობლივი სარგებლობა, თანამშრომლობა ბიოტექნოლოგიების განვითარების სფეროში, თანამშრომლობა პროდუქტების შემუშავებაში და სხვა.

თავის მხრივ, კანონპროექტით განისაზღვრება იმ გენეტიკური რესურსების საქართველოში გამოყენების პირობები, რომლებიც არ არის წარმოშობილი ქვეყანაში. საქართველოში მათი გამოყენების შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა აცნობოს სამინისტროს და წარუდგინოს გენეტიკურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ნებართვა. სამინისტრო ამოწმებს საქმიანობის შესაბამისობას ნებართვის პირობებთან. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სამინისტრო ახდენს გენეტიკური რესურსის წარმოშობის ქვეყნის ინფორმირებას. წარმოშობის ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის აკრძალვის შესახებ. კანონპროექტით ასევე დადგენილია საზღვარგარეთ წარმოშობილი გენეტიკური რესურსების კომერციალიზაციის პირობები.

კანონპროექტის **მეათე თავი** განსაზღვრავს ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობით გამოწვეული მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი რეგულირების საკიხებს „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, განისაზღვრება პასუხისმგებლობა ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებულ ზიანზე, რაც გამოწვეულია ნებადართული საქმიანობით.

კანონპროექტის **მეთერთმეტე თავის** თანახმად ამ კანონით დადგენილი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის წესების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის ჩამდენს კანონის დარღვევით მიყენებული ზარალის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურებისაგან.

კანონის პროექტის **მეთორმეტე და მეცამეტე** თავები ეთმობა გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

„ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N382 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის 152 პუნქტი ითვალისწინებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მომზადებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომლის თანახმადაც საქართველომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 წლის მანძილზე უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა (მიახლოება) ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან:

1. 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ (Directive 2009/147/EC of the European Parliament and of the Council of 30 November 2009 on the conservation of wild birds);

2. დირექტივა **92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ** (Council Directive 92/43/EC of 21 May 1992 on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora as amended by Directive 97/62/EC, 2006/105/EC and Regulation (EC) No 1882/2003).

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

კანონპროექტი უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნას შემდეგი მრავალმხრივი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისთვის:

- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ;
- „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის“ კონვენცია (ბერნის კონვენცია);
- კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES);
- „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენცია“ (რამსარის კონვენცია);
- კონვენცია „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“ და ამ კონვენციის ფარგლებში მიღებული ხელშეკრულებები.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

1. 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ (Directive 2009/147/EC of the European Parliament and of the Council of 30 November 2009 on the conservation of wild birds);

2. დირექტივა **92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ** (Council Directive 92/43/EC of 21 May 1992 on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora as amended by Directive 97/62/EC, 2006/105/EC and Regulation (EC) No 1882/2003).

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ე) კანონპროექტის ავტორი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი